



ლ. ლაშვილი

№ 18 (1388) სექტემბერი 1972

საქსუ

გამოცემის 49-ე წელი ფასი 20 კპვ.

— გიჟო, სასახლე აიშენე, ვოლგა გამოიტანე, აგარაპი იყიდე, შვილები ცალ-ცალკე დაასახლე... ახლა მაინც მოგვეიდე ქეხვი თავის ფასში!

„ნაწილი“ — „ცისკარი“!

სახალხო სიყვარულითა და კოსმოსური სიჩქარით,
უკვე, თხუთმეტი წელია, მამულს ახარებს „ცისკარი“!
„ცისკარმა“ ჩვენი მწერლობა ვარდისა ფერად შეღება...
ნიჭიერთათვის ადვილი არს კართა მისთა შეღება!

არის ახალი თაობის ტალანტით აღიღებული
და საქართველოს სიხარულ-ტკივილზე დაფიქრებული!
ალმოჩენის და ძიების ბევრი ნიმუში გვაჩვენა!
ვინც შეჰქმნა, გააცისკროვნა, — იდიდოს მისმა მარჯვენამ!
დავლოცოთ ყველა ყოფილი რედაქტორი და ცისკრელი
ახლანდელთ მედგრად გაველოთ გზა — სირთულის და
სიძნელის!

შემოქმედ ახალგაზრდობას დღეს მზე ცისკარზე ამოსდის!
ამ უურნალს ერთი „ნაკლი“ აქვს: ერთი თვით ადრე
გამოდის!

მდინარეს აღმა მიარღვევს ჯ. ჩარკვიანის იალქნით!
მთავარ რედაქტორს გულისხმობს ჯ. ჩარკვიანში ნიანგი!




დავლიოთ უარ დავლიო?

ღვინომ მომცა ასპარეზი,
საჯირითოდ ეს ქვეყანა!
ღვინო უყვართ ჩვენს უფროსებს,
ღვინის შემდეგ — „განდაგანა“.
ღვინის სმა რომ ცუდი იყოს,
დასაძრახი, სათაკილო,
ვინ გახსნიდა გზად და ველად
რესტორნებს და სასადილოს?!
ყური მიგდეთ, რას იცინით?
თქვენ მოგიკვდეთ მაყალიჩი,
თუ პირველად გესმათ ჩემგან
ქეიფი და მაღარიჩი?!
ღვინო რომ არ ყოფილიყო,
ვეგდებოდი შორს, კუნჭულში...
ღვინის მომგონს ვენაცვალე,
ვაზის დამრგავს — ნეტარ სულში!
ვინ დათვალს მცხეთის გზაზე
სამწვადე და რესტორანი.
თევზით უხვად გვამარაგებს
მტკვარ-არაგვი, ლენქორანი...
ხორცი — უხვად, ხილი — უხვად,
მწვანელი და ფრთა-ფრინველი,
ღვინო, არაყ-კონიაკი
სანაქებო, სასურველი.
გზას „არაგვი“ დაგილოცავს,

დილის სალამს გეტყვის „უშბა“,
„თეთრი დუქნის“ ნაფუძარზე
„ნიადაც“ ხომ არა უშავს?
მუხათგვერდში — „საჭაზნიკე“,
ლობო და ხის თასები...
თუ ცდუნებას გადაურჩი,
გვერდს აუქცევ, გაეცლები,
მცხეთას მისულს — „ნატახტარი“,
ან „არმაზი“ გტყორცნის ისარს:
„რა კაცი ხარ, რომ არ ლოცავ
მამა-პაპის კუბოს ფიცარს?!
„არადეთი“, „იგოეთი“,
მერე „გორი“, იქვე „ქართლი“,
მერე „ველი“, „საბალახო“,
ჭიჭა შესვი სატალახო!
„სურამელას“ რომ გასცდები,
მიადგები „ჩუმათელეთს“,
დამთავრდება ქართლის ვაკე,
შეუყვები აღმართ-ხმელეთს...
„რიკოთი“ და ქვევით „ფაცხა“,
ჭყინტი ყველის რომ გცემს სუნი...
დომის დომი, ნეშოს მჭადი,
ლამის ნდომით გაგძვრეს სული!
ვარიები დაბრაწული,
კეცებსშუა, მაღიშალა...

გვეგება „ლეწე“, „სარმა“,
კისერს მოგტეხს „ყირამალა“...
„ვაი, ნაკლებს!“ — გადმოგძახის
მთელი ზემო იმერეთი,
გულს გაგიხსნის, ჩავიხუტებს.
„არგვეთა“ და „სიმონეთი“...
თუ ამათაც გადაურჩი,
სასწაულით გასცდი მალე,
ქუთაისი მკერდს გადიღელს,
იმის ძუძუს ვენაცვალე!..
რა ძალა აქვს, რა თილისმა,
რა ჯადო აქვს, ნეტავ, რისი?
„საგარდო და სამაისო“ —
მშობლიური ქუთაისი!..
ჰოდა, მე რომ შემომჩინდით
ცოლიც, პრესაც და რადიოც,
თავს დამჩნავით ყვაგვივით:
„არ დალიო, არ დალიო!“
მარტო მე ვსვამ, თუ რა არი,
სადაური სად არიო?
გინდათ, კაცი გამაგიჟოთ,
გინდათ, მართლაც გადამრიოთ?!

ლევან მილორაძე



ნ.ბ. ს. მელქაძისა

— ნუ ღარდობ, შვილო, უმაღლესში რომ ვერ მოეწყვი!
აპირ, ტელევიზორთან დასვამ და უყურე, მთელი დღე, ღამე-
ციების მთხ, მაინც არავის გადმოსცემენ!

წყაღი აკადესაყარი აზრები

საინტერესოა, სად იბანს მზე პირს, როცა ხშირად
წყალი არ არის?

არის თუ არა ავტოკალამი „ანონიმზიკის“ თანა-
მონაწილე?

გუზი ადამიანს თავზე რომ არ დაჯდომოდა, ქუდს,
ალბათ, კიდეც დიდხანს ვერ გამოიგონებდნენ.

დინარბატიაში იმდენი წყალი იყო, ლამის მთელი
სამეცნიერო საბჭო დააბრჩო.

თუ სხვისი წაბაძვით კისერს მოიტეხ, უკანდასახვე
ადგილს ძებნას ნულარ დაუწყებ: ის უკვე შენმა მიმ-
ბაძველებმა შეავსეს.

აპერცხი თუ წიწილა? ჯერ კრუხი, ბატონებო!

მისი სიტყვები უწინ ქარს მაინც მიჰქონდა ხოლმე.
ახლა იმანაც უგანა.

მას საპნის ბუშტზე უფრო მტკიცე ხასიათი ჰქონდა.

ორაკაპიანებთან ერთად ტელეფონ-ავტომატი-
დან რამდენიმე კილოგრამი დაწყვეტილი ნერვებიც
ამოიღეს.

ჯაჯა კაციაშვილი



ნახ. გ. აბაშვილის

— თქვენი ბრიგადირი! სირიზმული არაა, ეგ რომ მასწავლიდეს ღორის გასუქებას? შენ რომ მასწავლო, კიდევ ჰქონ!

„პეტლისტების გზა“

— ოღონდ ახლა დამეხმარეთ და, მე ვიცი თქვენი პარტიის ცემა, ბატონო ლიმიტრი! ის კაცი თქვენი სწავლული მდივანი ყოფილა და რექტორს უარს ვერ გაუბედავს...

— ვინ კაცი?

— ქარქაშიძე, ჩემი ბიჭი აბარებს და...

— მაგას ნამდვილად ვერ შეგპირდები: მე კი არა, ღღეს, დილით, ჩემი თანდასწრებით, ერთი აკადემიკოსი გააწვალა, უთხრა, მე არაფერი შემიძლია.

— მხეცი ყოფილა.

ვერიკომ დემონსტრაციულად დატოვა რექტორის კაბინეტი და კარის გაჯახუნებაც არ დაეწყებია...

არჩილი შინ დაუხვდა. სადილისთვის პირი არ დაეკარებინა. ვერიკომ ჩანთა დერეფანში დააგდო, ფეხაკრეფით ჩაუარა ზურიკოს, რომელიც თავის ოთახში ტახტზე წამოწოლილიყო და თვალდახუჭული თარიღებს ხმამაღლა იმეორებდა.

— მოგიკდეს დედა, შვილო! — თქვა და მაშინვე მეუღლეს ეცა:

— ჩქარა, მოემზადე, ნუნუს გავუაროთ, ის კაცი უნდა მოვნახო ღღეს, სიცოცხლის ფასადაც რომ დამიკდეს. ზურიკო, გეყოფა ამდენი სწავლა! ადექი, ჩაიცვი, შვილო, კომისიის თავმჯდომარესთან მივიღივართ!...

ზურიკომ ერთი კი წამოიკნავლა, ხუთი ბილეთი დამარჩა გასამეორებელი, მაგრამ დედამ სიტყვის თქმა აღარ აცალა:

— როცა დაგბრუნდებით, მაშინ გაიმეორე!

ნახევარი საათის შემდეგ არჩილის „ვოლგა“ ქარქაშიძის სახლის წინ გაჩერდა, მაგრამ, საუბედუროდ, თავმჯდომარე შინ არ აღმოჩნდა. მას არც მეუღლისთვის, არც სიდედრისთვის, არც შინამოსამსახურისთვის არ დაუბარებია, სად მიდიოდა, ვისთან, რისთვის და როგორ აპირებდა გამოცდამდე დარჩენილი ამ ერთადერთი საბედისწერო ღამის გათენებას...

„ვოლგა“ ღამის სამ საათამდე გადარეულივით დაჰქროდა თბილისის ქუჩებში. მოიარეს წყნეთი, ოჭრაცანა, ტაბახმელა, რესტორან „იორშიც“ შეიხედეს. ნახეს ნუნუს ბიძაშვილი, რომელიც ურცხვად ასაღებდა თავს ქარქაშიძის სკოლის ამხანაგად (რამიც ვერიკოს თანდათან ეჭვი ეპარებოდა), გაიცნეს ქარქაშიძის ცოლის ორი მამიდაშვილი, ერთი ბიძაშვილი, გამომცემლობა „ქვის გულის“ დირექტორი, სადაც ქარქაშიძის წიგნი მო-

მავალი წლისთვის გამოსაცემად მზადდებოდა. მკერავი-მოდელიორი ჯორჯი, რომელსაც ქარქაშიძემ გასულ წელს ორი კოსტუმი — ერთი ქილეტი და ერთი უფილეტო — შეუკვეთა, ქარქაშიძის უფროსი ქალიშვილი, უახლოესი მეგობრის — მაიკოს დედა, აგრაფინა ქარქაშიძის შინამოსამსახურის დედაშვილი... ერთი სიტყვით, ვინ მოთვლის, თბილისის რამდენ უდანაშაულო მოქალაქეს გაუტყდა ძილი იმ ღამეს, მაგრამ ვერსად მიაგნეს. ისიც კი ვერ გაიგეს, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ...

დილით გამოუძინებელი, გულგახეთქილი და თავგასიებული ზურიკო მუხლების კანკალით შევიდა გამოცდაზე, ბარბაცით მიუახლოვდა საგამოცდო მაგიდას, ანგარიშმიუცემლად დაავლო ბილეთს ხელი და მოსაფიქრებლად დაჯდა.

ცოტა ხნის შემდეგ იგი კომისიის თავმჯდომარის წინ იდგა... ბავშვი დიდხანს ვერ ბედავდა თვალი გაესწორებინა ლეგენდარული ურჩხულისთვის (როგორადაც ესახებოდა კომისიის თავმჯდომარე წუხანდელი ღამის შემდეგ), მაგრამ ის ჩვეულებრივი კაცი გამოდგა — სათვალისანი, გამხდარი, ძალზე სიმპათიური გარეგნობისა. თავმჯდომარე აუღელვებლად უსწორებდა ბავშვებს შეცდომებს და წამდაუწუმ იმეორებდა: „დინჯად, ბიძიკო!.. ნუ იღელვებ, ბიძიკო!.. აბა, ახლა მითხარი, როდის მოხდა დეკაბრისტების აჯანყება?“

ზურიკო ბილეთზე სხაპასხუბით პასუხობდა. თავმჯდომარე სულ თავს უქნევდა და სიამოვნებით გაიძახოდა, ყოჩაღ, ყოჩაღო.

— კარგი, მომეცი, ბიძიკო, შენი საგამოცდო, ხუთიანს გიწერ. ზურიკო ადგილიდან არ იძვროდა, გულაჩუყებული და კრიკაშეკრული შეჰყურებდა კეთილ ძიას.

— წადი, ბიძიკო, თავისუფალი ხარ!

— პარტიცემულო მასწავლებლო!

— რა იყო, თუ რამე გაუგებარია, მკითხე, ბიძიკო! რა საკითხი ვერ გაიგე?


— არა, საკითხები... საკითხები კი გავიგე, პარტიცემულო, მაგრამ...

ზურიკოს კინაღამ არ დასცდა ენისწვერზე მომდგარი შეკითხვა: „წუხებულ სად იყავით, პარტიცემულო მასწავლებლო“, მაგრამ დროზე შეიკავა თავი, საგამოცდოს ხელი დასტაცა და გარეთ გამოვარდა...

დალი ინჰაპირველი

თბილგაზის მიწის სამუშაოთა შემსრულებლები ხშირად აზიანებენ სატელეფონო და სხვა საკომუნიკაციო გაყვანილობებს.

ნახ. გ. ლევიძის მიერ
გამოცემული



თბილგაზი

მონაპოვო

ა მ მ ა ნ ა

ა უ ს უ ს

რა ლაგაქიანა?

ზაფხულის ერთ-ერთ დღეს, კერძოდ, 15 აგვისტოს, დღის 3 საათზე, გაგრის პლაჟზე, უამრავ ხალხთან ერთად, ზღვაში შევიდა ერთი კაცი. კაცს ლურჯი საბანაო ტრუსები ეცვა და მარჯვენა მკლავზე ჰქონდა წარწერა: „ზღვა ჩემი სტიქიაა“. მან მხარულით გასცურა დაახლოებით სამასი მეტრი და დასასვენებლად ზურგზე დაწვა. ამ დროს მისკენ ცურვით წამოვიდა ერთი კაცი, მიუახლოვდა და შეჩერდა. დააკვირდა, მერე თმებზე ხელი გადაისვა და მრავალმნიშვნელოვნად გამოსცრა კბილებშუა: „გამარჯობათ, ამხანაგო კაპიტანო!“

ამოცანა გვეპოვება: საიდან მიხვდა ის კაცი, რომ ლურჯ ტრუსებიანი კაპიტანი იყო? პასუხი: ადრე იცნობდა.

მერაბ ბერაძე



- თავი ხომ არ გტკივა?
- არა, კაცო, ჩიტივით წამოვდექი დღეს.
- ისე, მაგრად ხომ შეეუბერეთ?
- კი, ნამდვილად ჯიგრიანად დავლიეთ!
- სად იყავით, უჩემოდ ურტყით, არაა? რატომ არ გამაგებინეთ?
- გირეკეთ, მაგრამ ვერ დაგიკავშირდით.
- ყველაზე მთავარი მაინც ისაა, თამადა რომ დავაჩოქეთ.
- მისი ბრალია: თუ არ შეეძლო, რას იქაჩებოდა იმ დიდ ყანწზე?
- აბა, კაცო, მე მასეთი ღვინის მნახველი არა ვარ, პირდაპირ გეხვეწებოდა, დამლიო...
- საჭმელები?!
- აბა, აბა, სუფრა იყო რაღაც გენიალური! მასეთი საჭმელები...
- მითხარით, კაცო, სად იქეიფეთ ასე მაგრად?!
- შენ რა გინდა?
- წავიდეთ!
- სად, კაცო?
- სადაც თქვენ იყავით...
- სადაც ჩვენ ვიყავით, იქ დამთავრდა.
- ე, ბიჭო, ნამცეცობაზე მაინც წამიყვანეთ!
- შენ ხომ არ გაგიჟდი, ქელებში ვიყავით, ქელებში!
- აფსუს, რა მომენტი გამიშვია ხელიდან!

გიგლა ბახტაძე



ორმოცს გადაშორდა ჩემი მეგობარი ყარამანი. დაამთავრა ტექნიკუმი, უცხო ენათა ინსტიტუტი, უნივერსიტეტი, ასპირანტურა... ჰყავს სტუდენტები, აქვს ფული, არა ჰყავს ცოლი, არა აქვს ოჯახი...

— რატომ არ ირთავ ცოლს? — ვეკითხები ყარამანს.

— ცოლი რომ შევირთო, უნდა იყოს მაღალი, ლერწამივით ატყორცნილი, გიშრისფერი ნაწნავებით, მაყვალავით შავი თვალებით, ყორნისფერი წარბებითა და წამწამებით, ატმისფერი ლოყებით, მარწყვივით ტუჩებით... უნდა ჰქონდეს გედივით კისერი, თეთრი, ქათქათა ხელები, აკოკრებული მკერდი, მრგვალი, მაღალი თეძოები, წვრილი წელი... თან უნდა იყოს ჩვიდმეტი წლის...

„მართლა კარგია!“ — ვფიქრობ მე ტუჩებზე ნერწყვმომდგარი და მთელი ღამე არ მეძინება.

ოცი წლის წინათ შერთული, მუყაოსფრად გაღებელი ცოლი ათასნაირ ძილის წამალს მასმევს, მაგრამ რა დაგაძინებს?!

გეგან სვანიძე



„გაქმნიში“ — მარიეთის ავტონომიური რესპუბ-
ლიკის სატირული ჟურნალი.

ღარიბებს სიზმარში წიწიბურას ფაფით სავსე ქოთანს
ნახა. ძალიან მოუნდა ჰამა, მაგრამ კოვზი არ აღმოაჩნ-
და და გულდაწყვეტილს გამოეღვიძა...

მეორე დღეს თავქვეშ კოჭი ამოიღო. იფიქრა,
დღეს მაინც გამოვძლებო...

კვლავ ნახა სიზმარი, კოვზი ხელთ ჰქონდა, მაგრამ
ქოთანნი ცარიელი იყო. ღარიბი ძალიან განაწყენდა,
დილით, გამოიღვიძა თუ არა, ცოლს ეცა:

— შე ღორმუცელავ, მთელი ფაფა რომ შეგიჭამია, ნახევარი მაინც დაგეტოვებინა ჩემთვის?!



მართ ქალს სახლში კარგი დანა არ ჰქონდა. ერთხელ გამგლეშმა შეიარა მისთან დასახვეწებლად. სანამ ქალი სამზარეულოში ფუხფუხებდა, მან აიღო მაგი-
დელი მთელი პური, თავისი დანით მოიჭრა ერთი ნაჭერი და შეჭამა.

ცოტა ხანს კიდევ იქდა მგზავრი, შემდეგ გამოემ-
შვიდობა ქალს და წავიდა. დასახლისმა დაინახა მოკ-
რილი პური. დავალო ხელი, გამოვარდა ქუჩაში და
დაიყვira:

— ეი, შეიცადე! პური დაგროხა!

გამვლელმა აიღო პური და გზა განაგრძო...

მართი ქალი ღვინით სპეკულაციას ეწეოდა. მის მეზობელს ღვინის დაღვევა მოუხდა. მუშტარი ამ ქალს ცოტა ჰყავდა, მხოლოდ მეზობელი თუ შეივლიდა ხოლმე. ამ ქალის ქმარიც მსმელი იყო, მაგრამ ცოლი არ ასმევდა ღვინოს, ამიტომაც ქმარი მიდიოდა მეზობელთან, აძლევდა მას ფულს და აგზავნიდა თავის ცოლთან ღვინის საყიდლად. ამის შემდეგ მეზობელთან ნაჭიფიარი ქმარი შინ ბრუნდებოდა.

— სად ღათვერი? — ეკითხება.

— მეზობელმა დამპატიოა. — უპასუხა ქმარმა.

— საიდან აქვს ამდენი ფული? — გაუკვირდა ქალს.
ორივენი კმაყოფილები იყვნენ.




დილით, ადგა თუ არა ქმარი, წყლის დასალევად წავიდა. ცოლი ეკითხება:

— რატომ სვამ ამდენ წყალს?

— სიზმარში სტუმრად მეზობელთან ვიყავი, დია:
სახლისმა ხინკალი გააკეთა და მღოში აღმოჩნდა.

თარგმნა ჟანი სიხარულიძემ



ქორანილი სოფლად

ნაბ. ჯ. ლელუასი

სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე, (პ/მბ. მდივანი), ს. კლდუშვილი, ნ. გალჭინა (მხატვრული რედ.),

[illegible][illegible]

© 2933, 2866. 70 07021. 676850 123100 © ТЫЛИСИ
ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КР ГРУЗИНИ © ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА ЦК КР ГРУЗИНИ. ТЫЛИСИ. УЛ. ЛЕНИНА № 14.

சமையல்குறி கூடியதென்க

පරාක්‍රම රාජා

698
16. X 1972

7



მუბლიმს კუნებუალობა

პარიზში მსოფლიო მშენებლობის კონგრესი გაიმართა. რადიოსადგურ „რადიოპარიზი“ 11-საგან მოითხოვს 4000 ფრანკი ზარალის ანაზღაურებას... დილის ვარჯიშში გართული მუბლიმ მსხვერპლი გახდა შეცდომისა, რომელიც დაუშვა ტანვარჯიშის მასწავლებელმა, რადიოში გამომხსენებელი ვარჯიშის გადაცემისას. მუბლიმ კომანდა „ახლა ფართოდ გაშალეთ ხელები!“ შეასრულა მაშინ, როცა იგი ყირაზე იდგა. მუბლიმ სასამართლოში საჩივარი გააგზავნა საავადმყოფოდან, სადაც, ტვინის შერყევის გამო, მოათავსეს.


კანონის გაუმეგებად



ინგლისის პარლამენტი გააუქმა ამინდის წინასწარმეტყველების შესახებ 1667 წლის კანონი, რომელიც, იმ დროს, დევნიდა და კოცონზე დაწვითაც კი სჯიდა წინასწარმეტყველებს.



ინგლისის სამეცნიერო ჟურნალმა — „საიენს ჯორნელმა“ გამოაქვეყნა წერილი, რომლის ავტორი ამტკიცებს, რომ დიდი ბრიტანეთის სამხრეთი ნაწილი თანდათანობით იძირება ზღვაში. წერილის წაკითხვისთანავე პატარა საჟურნოტო ქალაქ ლონგპემის მესვეურებმა შეთხზეს ასეთი სარეკლამო განცხადება: „ჩამობრძანდით ლონგპემში, 2000 წელს უკვე გვიან იქნება!“



სანამ ჩაიძირებოდეს



— რას ისურვებდით ღაწვის წინ?
— შუქუნა წვიმას!